№ 94
შაბათი, 17 მაისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 94
შაბათი, 17 მაისი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს, მუშტაიდის ბაღში.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს **ჭავჭავაძისას** (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი, № 21) და **„წერა კითხვის საზოგადოების"** წიგნის მაღაზიას.

## სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფების გასინჯვა შეიძლება დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას და საბებიაოს მკურნალი **ე. ფ. ბაცევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**
(10—6.—2)

24 მაისს ქართ. დრამ. საზოგადოების სასარგებლოდ **ბ. კლენოვსკი** გამართავს

**ქართულ სიმფონიურ კონცერტს.**

დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართულ სიმღერის მოყვარულთ, რომელნიც მოისურვებენ მონაწილეობის მიღებას კონცერტში, მობრძანდნენ პირველს რეპეტიციაზე 15 მაისს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში.
(2—უ—2)

ტფილისი, 16 მაისი.

ხვალ, 18-ს მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღეა იმისი თუ,—ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულის ტკივილითა და გულ-მოდგინებით ჩვენის კეთილ-დღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

აქამდე თუ ხმოსნების ამორჩევას საბჭოსათვის ყურს არ ვათხოვებდით და გულ-გრილად ვეკიდებოდით, დიდი შეცოდება იყო ჩვენ-მიერ ტფილისისა და მისთა მკვიდრთა წინაშე. ეხლა სულ სხვა დროა. ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ,—რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი,—მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთ ნაირის გულის-ცემითა, ერთ ნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედა-ქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამრთელდეს.

ღმერთმა არა დაიშურა-რა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი—ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. თუ რამ ცუდია აქ, და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედა-ქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულ დადებით არ ვექცევით, სიყვარულით არ ვპატრონობთ.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედა-ქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილ-უბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღე და დღე ემატებოდეს ჩვენს მშობელს ქალაქსა.

ყველამ ერთად რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. და აი ხვალ ამისი განკითხვაა. რომ ჩაუფიქრდეთ, თქვენვე იტყვით ჩვენთან ერთად, რომ ეს სახუმარი საქმე არ არის. ერთი გულ-მრუდობით აქედ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს,—ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო! იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ—ვინ არის ღირსეული და ვინ არა განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულ-შემატკივარობა სულელობად არ მიაჩნია.

თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენ მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმა ამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს და რაც მდიდარს დააკლეს, ღარიბს არ ახდევინონ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაკი, საჭმელ-სასმელი ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არა ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებავსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილ-უბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედა-ქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიმყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილ-შვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც რაც შეიძლება, იეფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ, რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

ურცხვო, როსკიპო დიაცო,
მოგხიბლოს შხამთა მფლობელმა,
ზიზღით ჩაგქოლოს ქვეყანამ
და ზეცამ მანათობელმა,
ნუ გიყოს პირი მიწამა,
ნურცა ზღვამ დაუშრობელმა,
ძაღლმა და ღორმა შეგჭამოს,
ნუ დაგიტიროს მშობელმა!..

დ. მაჩხანელი

## „ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მოქმედება."

ამ სათაურით იწყება ბ-ნ გ. მაიაშვილის წერილები, რომლებიც ისტამბებოდა „მოამბის" ნომრებში *). წერილები მეტად სერიოზულია, სავსებით ირკვევს ქუთაისის ბანკის საქმეებს და, არა თუ მარტო ბანკისა, მთელის იმერეთის ხალხის ეკონომიურს მდგომარეობას ეხება, შეეხება აგრეთვე იმერეთის ეგრედ წოდებულს „ინტელიგენციას" და მის მოქმედებას ღირსეულს მსჯავრსა სდებს. ასეთი დასაბუთებული და დინჯი წერილები ჩვენის ბანკების მოქმედების შესახებ ჩვენ ჯერ არ გვინახავს დასტამბული.

არ შეგვიძლიან დიდის ყურადღებით არ მოვეპყრათ ზემოხსენებულს წერილებს და არ გავუზიაროთ მისი შინაარსი იმერეთისა და სრულიად საქართველოის საზოგადოებას, მით უმეტეს, რომ ამ წერილებს ბევრი ვერ წაიკითხავდა, რადგან ცოტა არ იყოს გრძელია, მეტად სერიოზულია და ყველა ადვილად ვერ მოინელებს.

ჩვენ განსაკუთრებულს ყურადღებას მივაქცევთ იმ ნაწილს წერილისას, რომელიც შეეხება საბანკო ადმინისტრაციასა და პოლიტიკას და რომელიც გვიჩვენებს მძიმე იარებს ამ ერთად ერთი საზოგადო დაწესებულებისას იმერეთში. იმ საგანზედ-კი, რომელიც შეეხება იმერეთის თავად-აზნაურთა დავალიანებას და ეკონომიურს რეგრესს—გაღატაკებას ვეღარას ვიტყვით იმიტომაც, რომ საგანი მეტად რთულია და მარტივად გადმოცემა აზრისა არა კმარა, იმიტომაც-რომ დღევანდელს ჩვენს წერილს აზრადა აქვს ქუთაისის თავად-აზნაურობის ყურადღება მიაქციოს ბანკის მდგომარეობას.

დროა გონს მოვიდეთ, გვეყო ამდენი ძილი, ჩვენის მოქმედების ნაყოფი სავსედ და ვრცლად გამოირკვა და შეგვიძლიან ეხლა ან ალტაცებით წარვუდგინოთ მთელს საქართველოს ამ ნაყოფის სიდიადე და ან შევინანიოთ ჩვენი საქმე და ვუშველოთ საქმეს, სანამ სრულიად არ დაღუპულა.

მართალია, ბ-ნი მაიაშვილი წერილისავე დასაწყისში აცხადებს „პრაქტიკულს მხარეს საგნისას, რომელიც საარჩევანო ბრძოლაში გამოსადეგია, მხარს ავუქცევ და უფრო ზოგადის ხასიათის გარემოებათ მივაქცევ ყურადღებასო"? მაგრამ ჩვენ ეს არ შეგვიძლიან ვიკისროთ.

ვერ ვიკისრებთ იმიტომ, რომ თუ ვხედავთ, საქმეს ზარალი მოსდის, რადგან არა შესაფერ კაცთა ხელში ჩავარდა, უნდა ყოველივე ღონე ვიღონოთ, რომ რიგიანს კაცებს ჩავაბაროთ ღონე მიხდილი ავადმყოფი და ყოველივე საშუალება ვიხმაროთ მის გამოსაბრუნებლად.

ამიტომაც ჩვენ ვეცდებით ციფირებით დავამტკიცოთ, რომ ეხლანდელმა გამგეობამ არა თუ არავითარი წარმატება არ მისცა ჩვენის ბანკის საქმეებს, წინააღმდეგ სულ უკუღმართობისაკენ მიჰყავთ და ლამის უფსკრულში ჩააგდონ. ამას დავამტკიცებთ ჩვენ იმითი, თუ დავანახვებთ მკითხველს, რომ უკანასკნელის წლების განმავლობაში ბანკის საქმეები თან და თან უარესობისაკენ მიდის.

თვით ბ-ნი მაიაშვილიც, მართალია, არავის სახელს არ ახსენებს, მაგრამ იმ მშრალის ციფირების შემდეგ, რომელითაც მისი წერილები სავსეა, ქუთაისის ბანკის ეხლანდელის გამგეობის შარავანდედით მოსილი სურათის ელვარება თვალს გვიბნელებს და მიუთითებლადაც ვიცით, რომ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ქუთაისის ბანკის საქმეების აწეწვისა, საზოგადოდ იმერეთის საზოგადო საქმის წაწყმედისა და დაქვეითებისა „კალისტრატიზმია".

ხოლო მეტი არ იქნება გამოვირკვიოთ რა არის იგი „კალისტრატიზმი".

ნურავინ იფიქრებს, ჩვენ ისეთ გენიოსად ან ისეთ რამედ მიგვაჩნდეს ვინმე ქუთაისელი „ეგრედ წოდებული ინტელიგენტთაგანი", რა სახელიც უნდა ერქვას, რომ გვეგონოს შეუძლია რაიმე მიმართულება შეჰქმნას, დაჰბადოს, ანუ შესძლოს მისი მეთაურობა. არა, ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელს ხანს თავი იჩინა საზიზღარმა მავნე მოვლენამ, აღმაშფოთებელმა უმსგავსოებამ. ამ მოვლენას თავში უდგანან ისეთი კაცები, რომელთაც მაღლად აუპყრიათ პირადის ინტერესებით მოქარგული დროშა და მეოთხმოცე წლების ჩვენის ინტელიგენციის სადიდებლად უნდა ვსთქვათ, რომ ეს დროშა იმათ დაისაკუთრეს.

ქუთაისის ბანკის უკანასკნელს კრებებზედ ისეთის ცინიზმით იყო განდევნილი ყოველივე, არ ვიტყვი იდეალური მოსაზრებანი, ეს მეტად მიუწდომელი რამ არის იმერეთის ეხლახან გამეფებულის ინტელიგენციისათვის, არამედ უკუგდებული იყო ყოველივე სიტყვა საქმის სერიოზულად გარჩევისა და განსჯისა. ამ მოვლენამ თვით რუსულის ჟურნალ-გაზეთობის ყურადღება მიიქცია. თუმცა ძალიან იშვიათად მოგვაპყრობენ ხოლმე თავიანთ მოწყალე თვალსა, იმათაც აღნიშნეს ეს სიტყვები ახალის მიმართულების „კეთილ-შობილის" მეთაურისა, როგორც საოცარი და დაუჯერებელი რამ.

ამ დროშის ქვეშ შეუყრია თავი ისეთს ხალხს, რომელიც სდევნის ყოველგან და ყოვლის ღონისძიებით კაცს, რომელსაც თავისი სიცოცხლე შეუწირავს ქვეყნის სამსახურისათვის და ან მზად არის ე მაგ სამსახურს შესწიროს თავისი სიცოცხლე. მეძებრების გასაოცარის ყნოსვით იგრძნობენ ხოლმე ამისთანა კაცს და ყოველსავე ღონეს ჰხმარობენ იმის დასამხობად. რომ ჩვენი სიტყვა არავის ეჩვენოს უსაფუძვლო

*) 1896 XII, 1897, I, II, IV.

წვრილ-შვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველ წლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იქსაქსებოდეს გულ დაუდებლობით და უთავ-დარიგობითა.

ერთის სიტყვით, ბევრი სხვაც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმაოა, თუ ღმერთმა გვაგონა და ამაებს მაინც ხვალ შესაფერი კაცები ამოვურჩიეთ.

ამიტომა ვთქვით ზევით, რომ ხვალინდელი დღე სახუმარი დღე არ არის. სიმძიმე და სიდიდე იმ მოვალეობისა, რომელსაც ხვალ კისრად ვღებულობთ და ასე თუ ისე ავასრულებთ, წინ უნდა წაიმძღვაროს ყველამ და ისე მივიდეს კენჭის მისაცემად. აქ ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რაც სინიდისი, ნამუსი, კაცური-კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავისს თავს, თავისის ცოლშვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცად-კაცური მოვალეობა გადუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი და ღვთისა და მართლის სახელით შეუდეგით არჩევანების დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ.

# ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით ბაქოდგან საადმინისტრაციო წესით გაგზავნილ იქმნენ ხარკოვის გუბერნიაში საცხოვრებლად, 5 წლით: ალა-ბეგ-ბალაბეგ-სეიდ ბეგოვი, ალექპერ-რუსტამ-ოღლი, მირზა-მამედ სელიმბეგოვი და ალექსანდრე კარაგედოვი, რომელნიც უსაბუთოდ დაეპატრონნენ სახელმწიფო მიწას ბიბი-ეიბათის მოედანზე.

⁂ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი წუხელის, 16 მაისს, საღამოს 10½ საათზე ჩამობრძანდა ტფილისში გორის მაზრიდგან, სადაც მათი მეუფება ეს შვიდი დღე ეკკლესიების სარევიზიოდ ბრძანდებოდა.

⁂ წ. კით. გამ. საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულ ლატარია-ალეგრის შესწირეს:

ნინო ნიკოლოზის ასულმა გრიჩისამ—დურბინდი და კალათა.

ნიკოლოზ ბესარიონის ძემ ღოღობერიძემ—25 მანეთი ხალიჩების სასყიდლად.

ფრაყეს მაღაზიამ—რამდენიმე ნივთი, ღირებული 16 მან.

ცატუროვმა—ლამპა.

ალავერდოვმა—ოქრომკერდით მოქარგული ფეხსაცმელი.

კორონამ—ექვსი ნივთი, ღირებული 10 მან.

ალექსანდრე რთინაშვილმა—ასი სხვადა სხვა სურათი.

გრიგოლ სტეფანეს ძე მიასნიკოვმა—1 კეგლი, ერთი კოლოფი ფოსტის ქაღალდი და კონვერტი, 1 სათამაშო და 2 ყულაბი საათებით.

⁂ 25 მაისს, საღამოს 5 საათზედ, დანიშნულია მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების კრება. კრება მოხდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

⁂ ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია მოსწავლეთათვის მეტად სასარგებლო ორი წერილი: „ჰაერი და მისი თვისებანი“ და „წყალი და მისი (ორიოდე) თვისებანი“. წიგნის ბოლოს მოხსენებულია, რომ ეს წერილები პირველად ჟურნალ „ნობათში“ დაიბეჭდაო, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ამ სასარგებლო წიგნის ცალკე დაბეჭდვა და გამოცემა. წიგნი შეიცავს 100 გვერდს, შემკულია საჭირო და შესაფერ სურათებით და საკმაოდ სუფთად არის დაბეჭდილი. გამოცემულია ზ. ჭიჭინაძის მიერ. ჰღირს სამ შაურად.

⁂ ქალაქის ხმოსანთა მომავალ არჩევანზე დასასწრებლად ბილეთები 15 მაისამდე აუღია 1,007 კაცს.

⁂ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს შეუტყობინებია ქალაქის გამგეობისათვის, რომ ვისაც ჰსურს ხმოსნობაზედ ასარჩევი ყუთი დაიდგას, იმათი თხოვნა მიღებულ უნდა იქმნას 18 მაისამდე, თანხმად სამოქალაქო დებულებათა. ამიტომ, თუმცა გამოცხადებული იყო, რომ მსურველთა განცხადება მხოლოდ 14 მაისის 2 საათამდე იქმნება მიღებულიო, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა 15 მაისსაც მიიღო განცხადება: ა. პ. შმიკევიჩისა, ფ. კ. ვეტცელის, თ. დ. ზ. ბარათაშვილისა და თ. გ. ე. წერეთლისა. დღემდის გამოაცხადა სურვილი 181 კაცმა ხმოსნობაზედ ყუთის დადგმისა. დანარჩენთა სურვილის განცხადება მიღებულ იქმნება მუდამ დღე, 18 მაისს-კი დილის 8 საათიდგან კენჭის ჩამოტარებამდის.

⁂ წელს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა ასე გაანაწილა სხვა-და-სხვა საფილოქსერო დასების მუშაობა. ბაქო-განჯისა და ერევნის დასები ისე იმუშავებენ, როგორც წინა წლებში, ხოლო სხვა დასების წეს-რიგი სრულიად შეცვლილია. ამიერიდგან მრკვევლების (разслѣдователь) მაგიერ იქმნებიან ინსტრუქტორები, რომელთაც თითოს რამდენიმე სოფელი ექმნება ჩაბარებული და ამ სოფლების მეურნეობას უნდა მიაქციონ ყურადღება, ასწავლონ ხალხს ვენახის კარგად მოვლა, წამლობა, ბაღოსნობა და სხვა. ტფილისის, გორის, ბორჩალოს, სიღნაღისა და თელავის მაზრებში დანიშნულია სულ 24 ინსტრუქტორი და ექვსიც რაჭის მაზრაში. გადადებულია სურამისა და ცხინვალის დასისათვის—23,042 მანეთი, რაჭისათვის—8,500 მან., ტფილისისათვის—11,793 მან. 50 კ., კახეთისათვის—11,002 მან. 50 კაპ.

⁂ სტანიცა არხონკა, (სუნჯის განყოფილება): ამ ბოლო დროს ქურდები არხონკასაც შემოეჩვივნენ. აპრილის პირველ რიცხვებში სოფლის დარაჯებს ყაზახებს დაეცნენ და ერთს მათგანს ცხენი მოუკლეს. აპრილისავე შუა რიცხვებში ხელ-მეორედ მიუვარდნენ დარაჯებს, თოფის სროლა დაუწყეს და ერთი ყაზახი მოჰკლეს. ავაზაკები ჯერ არ შეუპყრიათ, ხოლო არხონკელები ბრალს მთის ოსებს სდებენ და საცა მოახელებენ ამ უკანასკნელთ, მოსვენებას არ აძლევენ: ზოგს სცემენ, ზოგს წაართმევენ რასმეს და ისე გაისტუმრებენ ხოლმე. ასეთის უსამართლობით შეწუხებულმა მთის ოსებმა მიჰმართეს პირველი განყოფილების ბოქაულს სტეფანოვს და სთხოვეს დახმარება; ბოქაულმაც აღუთქვა შემწეობა, ხოლო რით გათავდება ეს საქმე, არ ვიცით.

⁂ ბორჩალოს მაზრის, სოფ. ახტალიდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ს, რომ ყარსის რკინის გზაზე მომუშავენი დიდს გაჭირვებაში არიან, რადგან ფულს თავისს დროზედ არ აძლევენო. ამასთანავე დუქნებში, რომელიც იჯარადრებს უჭირავთ, სანოვაგე გამოილია და მუშებმა აღარ იციან, ვის მიჰმართონ და სად იშოვონ ლუკმა-პური. ასეთი უწესოება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გზა მეტის სიჩქარით შენდება, გამგეობა ვერ ასწრობს თავის დროზე ჩაიბაროს ნამუშავარი დ ფული დაურიგოს მუშებს ჩაბარებულის საქმისაო. ახტალის ახლო-მახლო 800 მუშა კაცი იქმნება შეგროვილი.

⁂ დ. ხაშური. აქ ყოველ წელიწადს 8 მაისს იმართება ესრედ წოდებული დღეობა გორათობა. ამ დღეს მრავლად იყრის აქ ხალხი თავს და დროებას ატარებს. წელს ამინდიც ხელს უწყობდა და ამიტომ ხალხი ბლომად შეგროვდა ქართლიდამ და იმერეთიდამ. გაიმართა ჭიდაობა, რაშიაც ქართლელები და იმერლები შეიტაკებიან ხოლმე. წელს გამარჯვებულნი იმერლები დარჩნენ, რადგან ყველა ფალავნები, ქართლელების მიერ გამოყვანილი, იმერლებმა წააქციეს. ბოლოს ხალხი მშვიდობიანად დაიშალა და თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ, მხოლოდ ქართლელებს ცოტა მოწყენილობა ეტყობოდათ.

⁂ ზემო-ნიქოზი. ყველაფრით მოწყობილია ჩვენი სოფელი: ჰავით, მდებარეობით, ადგილ-მამულით, ხალხიც გაცილებით შეძლებულია, ვიდრე გარეშე მდებარე სოფლების მცხოვრებელნი. მხოლოდ ერთი ნაკლულევანება ისა აქვს, რომ სასწავლებელი არ მოგვეპოვება. ესეც რომ მოვახერხოთ, მაშინ-კი აღარა გვიშავს-რა. იმედი-კია, რომ ახლო მომავალში განხორციელდეს ჩვენი იმედი, რადგან დაუღალავი მშრომელი მამა კირიონი (გიორგი საძაგელოვი), წინამძღვარი ქვაბთა-ხევის მონასტრისა, არავითარს შრომას არა ჰზო-

---

ღაღადისად, მე არ გავიხსენებ არც იმ უწესოებებს, რომელიც უკანასკნელ კრებებზედ ჩაიდინა იმერეთის საზოგადოებამ, რასაკვირველია, ახალის მეთაურის ზე-შთაგონების მოწყალებით, მე მხოლოდ შევეხები ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების უკანასკნელს კრებაში მომხდარს ამბავს. წრეულს თ. კირილე ლორთქიფანიძეს უნდა ეყარა კენტი ამ ბანკის დირექტორობაზედ, რადგან ვადა გასდიოდა. ამ კაცის პატიოსანი და ნაყოფიერი შრომა სამართლიანადა აქვთ დაფასებული ქუთაისის ვაჭართა (რომელთაგან უმეტესი ებრაელი არიან, ესეც კი უნდა ვსთქვათ) და რომლის მიმართ მადლობითა და პატივისცემით აღსავსე არის ყველა. საზოგადოდ თ. კირილე ლორთქიფანიძეს უკენჭოდ ირჩევდნენ ყველანი ერთხმად. ხოლო ეხლა ზემოხსენებულის რაზმის მთავარ-სარდალი ჩვეულებრივის რიხიანობითა და ცინიზმით თხოულობს ყუთი დაუდგან თ. ლორთქიფანიძეს და საიდუმლოდაც ახერხებს, რომ 30 შავი კენჭი იშოვოს მის წინააღმდეგ, ახერხებს იმას, რომ ერთ-ერთი თავ-განწირული თავისი მოწაფე იქაც შესჩხიროს უთუოდ „კანონიერებისა და წეს-რიგის დასაცველად“. ეგ რიცხვი ოცდა-ათი როგორღაც უცნაურია და რაღაც საიდუმლოებით მოცული, რადგან ამ სამის წლის წინად ქუთაისის გუბერნიის მარშალს თ. წერეთელს იმავე რაზმის მეთაურთა აგიტაციითა და მოხერხებით 30 თუ 40 შავი კენჭი მიუვიდა.

მე მგონია დევნა თ. კირილე ლორთქიფანიძისა, რომელსაც მტერიც-კი აფასებს, როგორც სინიდისიერსა და მუყაითს მშრომელს, მეტად პატიოსანს წევრს იმერეთის თავადაზნაურთა კრებულისას,—უნდა ჩაითვალოს საუკეთესო დამახასიათებლად ამ ვაჟბატონების გუნდისა. საოცარის ყოყოჩობით, საოცარის გაბედულებით იხვევენ ხელზედ ფაქტს, ფაქტს მშრალსა და უშინაარსოს, აღნიშვნენ მშრალად და განცალკევებულად რომელსამე ულმობელის კანონის მუხლისა, წამოისვრიან ორიოდე საზიზღარ აზრს, ზნეობით გათახსირების უტყუარს ნიშანსა და ამგვარად შეიარაღებულნი ბრბოს შიშის ზარსა სცემენ და საფლავს უთხრიან ყველას, რაც მათ არ გაჰყვა უკან სიხარულითა და სისწრაფით.

ეგ მოვლენა, ბატონებო,—გამეფება პირუტყვულის გრძნობებითა და აზრებით აღსავსე ვაჟბატონებისა, რომელთაც ბედნიერება აქვთ ინტელიგენტათ იწოდებოდნენ,—ეს მოვლენა მარტო ერთისა ან ორის კაცის შექმნილი როდი არის, მაგ უმსგავსებას როგორღაც ისტორიული ხანა დაუდგა და გარემოებამ შეუწყო ხელი. ეჭვი არ არის, ამ მიმართულების გამეფებას ღრმა საფუძველი მოეძევება ჩვენს ისტორიულსა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში და, ჩემის აზრით, მარტო იმერეთის ხალხის შექმნილი როდია. ამ მოარულმა სენმა მართალია იმერეთში იჩინა პირველად თავი, როგორც უფრო სუსტსა და სენისათვის საპრიანო ნიადაგში, მაგრამ ამერეთსაც მოედო და აქაც მოიპოვა ნიადაგი. კარგად ვიცით, რომ ამერეთშიაც იგივე მიმართულება იზრდება და თუ ამ მიმართულებამ ვერ გაიმარჯვა, თუ იგი დასცეს, ეგ იქმნება ერთი საუკეთესო და დიდმნიშვნელოვანი სამსახური, რომელიც-კი ამერეთის მეთაურთ მიუძღვით თავისის ქვეყნის წინაშე. სავალალო მხოლოდ ის არის, რომ ამ ბრძოლამ ჩაითრია თავის წუმპეში მრავალი წარჩინებული წევრი საზოგადოებისა და თავისი ტალახი მოსცხო, ამ ბრძოლამ ჩააქრო მთლად ჩვენი საზოგადო ცხოვრება და მარტო ამისაკენ მიიზიდა ყოველი ძალა და ღონე. რომ ეგ ორივე მოვლენა ერთის თვისებისა და ღვიძლი ძმები არიან, გვიმტკიცებს ის მომხიბვლელი სიმპატია, რომელიც არსებობს ამ ორთა რაზმთა, ერთის აზრითა და გრძნობით გატაცებულთა მეთაურთა შორის.

თუ ამერეთში ეს მოვლენა დაიმხობა იმიტომ, რომ მოწინავე კაცნი უფრო ძლიერი გამოჩნდნენ, უფრო მხნენი და ენერგიულნი და იმიტომაც, როგორც შენიშნავს ბ-ნი მაიაშვილი, რომ იმერეთში საქმე ჩაუვარდა ხელში ბრბოს, ამერეთში-კი საზოგადოებას და, სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამერეთში უფრო ზნეობა და გონება-მაღალს ბრბოსთანა აქვს საქმე მეთაურებს.

ამერეთში მოწინავე კაცებმა მხარი დაუჭირეს ერთმანერთს და შეერთებულის ძალით გამოილაშქრეს დამღუპველის მოვლენის წინაშე, იმერეთში-კი თუ რაიმე ძალა იყო, ისიც დაიქსაქსა და სწორედ იგინი, რომელთაც ზნეობრივი მოვალეობა იყო ამ მავნე მოვლენის წინააღმდეგ ამხედრება, ბარგი აიკრეს, გულ გრილად მოეკიდნენ საქმეს. კიდევ მეტი, ამავე მოვლენის გამეფებას შველიდნენ ამერეთში და იმდენს ენერგიასა და თავ-განწირულებას იჩენდნენ ამ საქმეში, რომ, თითქმის ნახევრად მართალია ის აზრი, ვითომ ბრწყინვალე თესლი „კალისტრატიზმისა“ მათ გადმოეტანოთ აქეთკენ. ყოველ შემთხვევაში დიდად შეუწყეს ხელი ამ თესლის აღმოცენებასა და განძლიერებას, თუ ბეჭდვითი სიტყვით და თუ პირადის აგიტაციით.

უნდა მედგრად შევებრძოლოთ ყველა, ვისაც რაიმე სიყვარული და პატივისცემა დაგვრჩენია სამშობლოისა, ამ მავნე მოვლენას, რომელიც დაღს ასვამს მთელს ჩვენს ცხოვრებას, რომელიც ძირს უთხრის ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეებს ერთის მხრივ თავისის უპრინციპობითა და მეორეს მხრივ ყოველსავე საზოგადო საქმის მომაკვდინებელის პრინციპების ქადაგებით. და პირველად, რასაკვირველია, ბრძოლა იქიდგან უნდა დავიწყოთ, საცა დაუმკვიდრებია სატახტო ქალაქი ამ გამათახსირებელს მოვლენას. იმერეთში ეს სატახტო ქალაქი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკია.

ბ-ნ გ. მაიაშვილს დიდი მადლობა უნდა ეთქვას ჩვენის მხრით მისთვის, რომ სრული და უტყუარი ფაქტები მოგვცა ხელში და ამ ძლიერის იარაღით ბრძოლის ველზედ გასვლა საშიშარი აღარ არის.

ეხლა-კი შევუდგეთ ბ-ნ მაიაშვილის წერილების შინაარსს და ამოვკრიბოთ იქიდგან რამდენიმე საყურადღებო ცნობები.

კიტა აბაშიძე

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავს სასწავლებლის დაარსებისათვის. წინადაც არა ნაკლებ ჰზრუნავდა პატივცემული მამა კირიონი ჩვენის სოფლის საკეთილდღეოთ: იმის მეცადინეობით გამშვენიერდა და გაკეთდა ადგილობრივი ეკკლესია და საერთოდ არავითარს შრომას არა ჰზოგავს სოფლის მკვიდრთა საკეთილდღეოდ. იმედია, შემდეგშიაც არ დაგვტოვებს უყურადღებოთ პატივცემული მამა კირიონი.

*** ს. ოფიშქვითი, (ქუთაისის მაზრა). ერთი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან ჩვენში და სწორედ მართალიც ყოფილა. ყოველი კაცი სწუხს ჩვენში ღვინის მოუსავლობას, მაგრამ უმჯობესია კაცმა წყალი სვას და ჭკვიანად იყოს, ვიდრე ღვინო და სულელობდეს. 23 აპრილს გიორგობა ვიუქმეთ და ულვინობის გამო ყველა ჭკვიანად ვთამაშობდით და გემრიელად ვაგორებდით ბურთს ჩვენის საყდრის გალავანთან. შემოსილმა მღვდელმა ეს ბურთი დიდის ამბით გამოიტანა საყდრიდგან, წინ ბაირალი მიუძღვის და მთელი ხალხი მას მისდევს უკან დიდად მხიარული. ბურთი ლელოში მხოლოდ ერთხელ გავიდა, რომლის შემდეგაც მოსტეხეს ერთი ძირი ხე, შემოატარეს ეკკლესიას, მიაგდეს გალავნის ერთს კუთხეში და თან ქვების სროლით და კიჟინით მიაყვირეს: „ამოაგდოს წმ. გიორგიმ ქურდი და ავი კაციო!“

*** პეტერბურგი. 8 მაისს სამკურნალო აკადემიის დარბაზში მშვენივრად დაიცვა „მედიცინის დოქტორის“ დისსერტაცია ჩვენმა თანამემამულემ ახალგაზდა ექიმმა ივანე თიკანაძემ. ოფიციალურმა ოპონენტებმა: პროფ. პასტერნაცკიმ, ველიამინოვმა და დოცენტმა ვაგნერმა დიდის ყურადღებით აღნიშნეს ავტორის შრომა და მადლობით და ტაშის კვრით დააჯილდოვეს დისსერტანტი. დოცენტმა ვაგნერმა სხვათა შორის უთხრა, რომ თქვენ უკვე სტუდენტობიდგანვე შეუდექით სამეცნიერო ასპარეზზე შრომასო და იმედია, შემდეგშიაც უფრო ენერგიულად განაგრძობთ ამ შრომასაო. ეს დისსერტაცია, რომელიც შეეხება „თირეოდინის მოქმედებას ადამიანზედ“ (თირეოდინი ერგვარი საშუალებაა, რომელსაც ამზადებენ ჩიყვის ყბაყურაიდგან (зобная железа) მე ხუთე შრომაა ავტორისა. დიდი კამათი გამოიწვია ზოგიერთმა ავტორის მიერ მოყვანილმა „ტეზისებმა“, რომელზედაც ავტორმა ყველას ჯეროვანი პასუხი გასცა და დაამტკიცა, რომ ის საგანი, რომელზედაც იგი სწერდა, მტკიცედ და საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი.

*** ნატანები: 15 მაისს, როდესაც სახალხო მატარებელი № 2, მომავალი ბათუმიდგან მე 58 ვერსზე ხიდს გასცდა, ხიდზე ნახეს თორმეტის წლის ყმაწვილი ილარიონ ფივსია, რომელსაც ორივე ფეხი მოწყვეტილი ჰქონდა. სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა. როგორც სჩანს, მატარებელს ხიდზე მოუსწრია საცოდავისთვის.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ჰახტალა.** ამ სახელს უწოდებენ ტბას, რომელიც მდებარეობს სიღნაღთელავის გზატკეცილზედ სოფ. გურჯაანის მახლობლად. ეს ადგილი წარმოადგენს ოცამდე მოთხო ნაცრის ფერის ტალახით, სავსე ორმოს, სადაც ეს ტალახი თითქო დუღსო, ჩაიფურფუმლავებს და ტალღებს ნაპირისაკენ ისვრის, საიდგანაც ცოტ-ცოტა გადმოდის თხელი ტალახი და ამ რიგად კარგა ფართო ადგილი დაუფარია ერთ ფერი (ნაცრის) ტალახის მსგავს სითხელეს. მიზეზიც ეს არის, რომ შორიდგან ტბა გეგონებათ ეს ადგილი.

აი ამ ტბის შესახებ რა ზეპირ გადმოცემაა დარჩენილი ხალხში: თურმე ამ ადგილას ფერის-ცვალებას დღეს ერთს მღვდელს ყანა ულეწია. ქრისტე ღმერთი გამოსცხადებია და უთქვამს: „დღეს რა დღეაო?“ — „ფერისცვალებააო“, უპასუხნია მღვდელს. — რადგან შენ მღვდელი ხარ და დღეს ჰმუშაობ, ამიტომ ჩაგნთქას ამ მიწამაო“. ქრისტე უხილავ ქმნილა, ხოლო მღვდელი კი თავისის სახლ-კარითა და ყანა-კალოთი ჩაუნთქავს მიწას და იმ ადგილას დღეს ეს ტალახი ამოდის უძირო ორმოებიდგან. როგორც ამბობენ აქ ბანაობა რგებს ქარებიან ავადმყოფებს, ამიტომ ზაფხულობით მრავალი ხალხი მოდის.

„ჰახტალას“ ნამდვილი სახელი ჰახთალა უნდა იყოს. ეს სიტყვა თათრულია და ჰნიშნავს: ჰახ=ღვთაებას, ღმერთს, თალა=ყანას. ამ სახით გამოდის: ღვთის ყანა, რაც უფრო უახლოვდება ზემოხსენებულ ზეპირ გადმოცემასო.

დღეს სიღნაღსა და თელავს შუა მოგზაურობა მეტად გაძნელებულია. ჩვენი კურთხეული კახეთი მრავალ სხვა სიკეთეთა შორის ერთის განსაკუთრებულ სიკეთითაც (?) დაუსაჩუქრებია ბუნებას. ეს გახლავთ რიყე-ხევების სიუხვე, რაც ეხლა, ამ წვიმიანობის დროს, დიდს ზარალს აძლევს მკვიდრთ. გარდა ამისა, რადგან გზა ამ რიყეებზედ გადის, ზოგან ავსებს ქვა-ღორღით, ზოგან კიდევ ძალზედ ჩაუღრმავებია. თუმცა ძალად გამოყვანილი მუშები ადგიან და აკეთებენ, მაგრამ აბა რა გაუვა ადამიანს შეუბრალებელის სტიქიონის წინაშე.

ტ. ინასარიძე

**სოფ. ჩოჩხათი.** (ოზურგეთის მაზრა). 27 აპრილს ჩვენი სოფლის კანცელარიასთან იყო საზოგადოების ყრილობა მამასახლისის ასარჩევად. აირჩიეს მამასახლისად მირიან გურგენიძე, კაცი მართალი და პატიოსანი.

ჩვენს საზოგადოებაში დიდი ყურადღება აქვს ეხლა მიქცეული სასოფლო გზებს და მალე მშვენიერი გზები გვექნება. დიდი მადლობის ღირსნი არიან მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ჩვენს გაფუჭებულ გზებს და აკეთებინებს, და გზის ზედამხედველი ბ-ნი გუგუნავა, რომელიც თითქმის ყოველ დღე გულმოდგინედ ჰმეცადინეობს და შრომობს გზის რიგიანად გაკეთებისთვის. აქეთ კარგი დარი დგას, სოფლის მხნელმთესველებმა უკვე მიჰყვეს ხელი მუშაობას.

ყველაფრით კმაყოფილები მარტო იმაზედ ვსწუხვართ, რომ რითი გადვიხადოთ ფოსტის ფული. ჩვენი ერთად ერთი სიმდიდრე — სიმინდი ფუთი ხუთ შაურადაც აღარავის უნდა სამყიდლად.

საქორიელი

## გორის ხიდის კურთხევა.

კარგა ხანი იყო გორის საზოგადოება დიდს გაჭირებაში მტკვარზე ხიდის უვარგისობის გამო. ყოველ წელიწადს, როცა-კი მტკვარი მოდიდდებოდა, სადგურს და გორის შორის ყოველივე მიმოსვლა ისპობოდა და გორელები იძულებული იყვნენ ეცადნათ ვიდრე მტკვარი თავის თავად დაიკლებდა. ამიტომ გორელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ხიდის შეკეთებას შეუდგნენ და სიხარულით მოელოდნენ იმ დღეს, როცა უკანასკნელად დაასრულებდნენ და აკურთხებდნენ ხიდს. ეს დღეც 14 მაისი იყო. მთელი გორი ამ დღისთვის სადღესასწაულოდ იყო მომზადებული. ტფილისიდგან მობრძანდნენ კურთხევაზედ დასასწრებლად კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი თავის მეუღლითურთ, კავალერიის გენერალი თავ. ამილახვარი, გენერლები: შუტლევარტი, ზეზემანი, პროზარკევიჩი, ბელიცკი, მრიანოვი, უშატოვი; კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველი, ტფილისის ვიცე გუბერნატორი, ტაინ. სოვ. იაკიმოვი, ნამდ. სტ. სოვ. სულთან — კრიმ — კირეი, ბუტირკინი და მრავალი სხვა.

სადგურზე მთავარ-მართებელს დახვდნენ გორის მაზრის უფროსი თ. ერისთავი და პოლკოვნიკი სარაჯიშვილი.

ხიდთან ჩამწკრივებული იყვნენ ამქრები ბაირაღებით, მოედანზედ იდგნენ გორის ყველა სასწავლებლის მოწაფენი.

მთავარ-მართებლის მობრძანებისათანავე დეკ. თავდგირიძემ გარდაიხადა სამადლობელი პარაკლისი. ლოცვის შემდეგ ყველა იქ დამსწრე საზოგადოებამ დაწვრილებით დაათვალიერა ხიდი, დიდად მოიწონა და მადლობა გადაუხადა გამკეთებელთ, და თავ. გენერ. ამილახვარს, რომლის მეცადინეობითა და თაოსნობით დაიწყო ხიდის გაკეთების საქმე და რომლის წყალობით დღეს სისრულეშია მოყვანილი. ხიდი ეხლა იმდენად მაგრაა გაკეთებული, რომ წახდენის შიში აღარავისა აქვს. მთელი ხიდის სიგრძე 72 საჟენია, ასე რომ წყალს აღარ შეუძლიან ნაპირები დაანგრიოს და ხელახლა წაახდინოს ხიდი. ძველი ბურჯებიც გაამაგრეს და ახალიც ბევრი გააკეთეს.

ხიდის დათვალიერების შემდეგ მთავარ-მართებელი ქალაქში შევიდა, სადაც ქალაქის წარმომადგენელნი დახვდნენ და პურ-მარილი მიართვეს.

შემდეგ მათმა ბრწყინვალებამ დაათვალიერა ყველა სასწავლებლები. სხვათა შორის გორის საოსტატო სასწავლებლის შეგირდებს გამოჰკითხა ვინ რა ეროვნებისაა და რამდენსამე მოწაფეს ქართულად და ბერძნულად ელაპარაკა. მისმა ბრწყინვალებამ დაათვალიერა შეგირდების ნამუშავარი. აქვე ერთმა 12 წლის მოწაფემ წაიკითხა მოკლე ლექცია წიგნის ყდების გაკეთების შესახებ. ბ-მა მთავარ-მართებელმა ამავე შეგირდს ქართულად გაამეორებინა იგივე. შემდეგ მოწაფეებმა იმღერეს სხვადასხვა სიმღერები და ,,მრავალჟამიერი''. ბ-მა მთავარ-მართებელმა მადლობა გადაუხადა როგორც სასწავლებლის დირექტორს, აგრეთვე მოწაფეებს და დიდად ნასიამოვნები წაბრძანდა ადგილობრივის რაზმის დასათვალიერებლად. დიდად მოეწონა ბ-ნს მთავარ მართებელს ქართველ ჯარის-კაცთა სიმღერები და თამაშობა.

შემდეგ თავ. ი. ამილახვარმა ყველა სტუმრები სადილად მიიწვია. სადილმა მეტად მხიარულად ჩაიარა. ,,მრავალ-ჟამიერის'' მღერას დასასრული არა ჰქონდა.

საღამოს 6 საათზე მთავარ მართებელი გენერლებთან ერთად წაბრძანდა მატარებლით ტფილისში. „კავკაზი.“

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Кавказъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

სასურველია, შევიტყოთ, რამ გამოიწვია შემდეგი არა სასიამოვნო ამბავი. რა მიზეზია, რომ ლუტერანგთა ახლად აშენებული ეკკლესიის კურთხევა და გამგეობის ხმოსანთა არჩევანები ერთსა და იმავე დღესაა დანიშნული, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, რა გარემოების ძალით ტფილისის გამგეობის ხმოსანთა არჩევანები თითქოს განგებ დანიშნულია იმავე დღისთვის, რა დღესაც უნდა აკურთხონ ზემოხსენებული ეკკლესია, რომლისთვისაც საგანგებოდ მოწვეულია სუპერინტენდენტი რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან? შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ თვით ღმერთიც-კი, რომლის სადიდებლადაც აშენდა ეს ეკკლესია, ჩვენი ქალაქის მამა მპატრონთა მომხრე იყოს და ცდილობდეს ყველაფერში ამ უკანასკნელთ ხელი შეუწყოს. მაგრამ არა, მე მაგ აზრის წინააღმდეგი ვარ! ჩემის ფიქრით ეს სამწუხარო მოვლენა უცაბედო შემთხვევის ანუ რომელსამე ბოროტის შორს გამჭვრეტელობის ბრალი უნდა იყვეს. მართლაც და რა საჭიროა ისეთ საქმეში, რომელიც ქალაქის მკვიდრთა კეთილ-დღეობას შეეხება, ჩაერიონენ მშრომელი და განათლების მოყვარულნი გერმანელნი, როდესაც „საზოგადო კონტრაბანტისტებიც“ ბლომად მოიძებნებიან? მაგრამ განა არ შეიძლება ამ საქმეს სხვა თვალით შევხედოთ? რა არის, მაგალითად იმის წინააღმდეგი, რომ გერმანელებმა ცაზედაც იფიქრონ და დედამიწაზედაც, ეკკლესიაც აკურთხონ და ქალაქის საქმეებში მონაწილეობაც მიიღონ? მართალია ,,მწვანე ბაირადის'' ასაფრიალებლად და საბჭოს ,,ორმოცდა ორისას'' ეს არ მოეწონება, მაგრამ ეს ხომ საბუთი არ არის! მეორე მხრით, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტფილისმა კანონს გადაუხვიოს. ეს გარემოება ძალიან სამწუხარო იქნება, რადგან განგებ კანონის გადახვევა ხშირად კანონის გარეშე დააყენებს ხოლმე ამგვარ საქმის ჩამდენსა.

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს გაანთავისუფლოს ქალაქების თვით-მმართველობა ზოგიერთა ხარჯისაგან, მაგალითად, შეუმსუბუქოს პოლიციის მოხელეთა შენახვა, ადგილობრივი საპატიმროთა გათბობა და განათება და სხვა ამგვარი ფული.

— პეტერბურგში აპირობენ ამ ჟამად სავაჭრო ამხანაგობის დაარსებას, რომელსაც აზრად ექმნება ბაზარი მოუპოვოს რუსეთის ნავთს აზიაში და განსაკუთრებით იაპონიასა და ჩინეთში.

— სამხედრო სამინისტრო აპირობს დააარსოს 391 სტიპენდია იმპერატრიცა მარიამის სახელობაზე საქალებო სასწავლებლებში, სამხედრო და სხვა ღარიბ მოხელეთა ქალების აღსაზრდელად.

— ამ ჟამად პეტერბურგში აპირობს თურმე მოსვლას ბელგიის კაპიტალისტების რწმუნებული კ. პ. პეტრიკი, რომელიც შუამდგომლობს, ნება მომეცით სავაჭრო ამხანაგობა დავაარსო და ქარხნები გავხსნა სხვადასხვა ადგილას სამეურნეო მანქანების გასაკეთებლად და გასასყიდადაო. ამხანაგობას აზრადა აქვს ეკატერინოსლავის გუბერნიაში გამართოს დიდი ქარხანა და 4 წლის განმავლობაში გამართოს კიდევ 6 ქარხანა სხვა ადგილებში.

— საყოველთაო აღწერის უმთავრესს გამგეობას ამ დღეებში მოსვლია საზღვარ-გარეთ შეკვეთილი ზოგიერთი საანგარიშო მანქანები. მანქანის ხმარებას ადვილად ეჩვევა თურმე კაცი. დანარჩენ მანქანებსაც მალე მიელიან.

— ექიმ იერსონის მიერ დამზადებულ შედედებული სისხლით აუცრიათ ქ. ბომბეიში 57 ჭირით ავადმყოფისათვის და 33 მორჩენილა. იერსონი ჰფიქრობს, რომ შავი ჭირით ავადმყოფთა უზრუნველ-საყოფად საჭიროა ბლომად შედედებული სისხლით აუცრან ხოლმე. 12 კაცისათვის წინდაწინ აუცრიათ და არც ერთს არ შეხვედრია. ამ ნაირად აცრით შეიძლება კაცმა თავი გადაირჩინოს შავი ჭირისაგან.

## უცხოეთი

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.** საბერძნეთ-ოსმალეთს შორის ატეხილი ომი ეხლა უკვე დასრულდა; დაწყებულ 2 აპრილს ბრძოლამ 36 დღეს გასტანა და ამ ხნის განმავლობაში მრავალი პატარ-პატარა შეტაკებების გარდა მეომართ ოთხი დიდი ბრძოლა მოუხდათ: მატისთან, ფარსალოსთან,ველესტინოსთან და დომოკოსთან. თუმცა საბერძნეთის ჯარი მამაცურად და ვაჟკაცურად იბრძოდა, ოსმალებმა მაინც, ურიცხვი ჯარის წყალობით, თითქმის ყველა ბრძოლაში გაიმარჯვეს. ეხლა ოსმალეთ-საბერძნეთ და ევროპის სახელმწიფოთა შორის ლაპარაკი მხოლოდ მეომართა შორის მორიგების პირობებზეა. ოსმალეთი, როგორც გამარჯვებული სახელმწიფო, ერთი-ორად მეტს თხოულობს, ვიდრე თვით დაუხარჯავს ომიანობაზედ. ოსმალეთის მთავრობის აზრით, ის არამც თუ ფულით უნდა დაჯილდოვდეს, არამედ საბერძნეთის პროვინცია თესალიაც-კი უნდა დაეთმოს. მაგრამ ევროპის სახელმწიფონი ეგრე არ ჰფიქრობენ. Nopes სიტყვით, პორტას ავიწყდება, რომ იგი ევროპის წინაშე დამნაშავეა და უნდა დაჰყაბულდეს იმას, რასაც ეს უკანასკნელი გადასწყვეტს. თავადაც და ეხლაც

ევროპის სახელმწიფონი იმ აზრისანი იყვნენ, რომ გამარჯვებულ მხარეს არც ერთი მიწა ადგილი არ უნდა დაეთმოს და უნდა დასჯერდეს მხოლოდ სამზღვრების შესწორებას და ფულით დაჯილდოვებას. რასაკვირველია, ოსმალეთმა არც იმაზე განაცხადა უარი და გაზეთების სიტყვით, იმდენი მოითხოვა, რომ საბერძნეთი ვერაოდეს ვერ შესძლებს ამ ფულის გასტუმრებას, მაგრამ ევროპამ აქაც პირობა დაუდო ოსმალეთს: ამ უკანასკნელმა იმდენი უნდა მოითხოვოს, რამდენის გასტუმრებაც საბერძნეთს შეუძლიან.

—

**ირლანდია** 8 ივლის მთელი ინგლისი დღესასწაულობს დედოფალ ვიქტორიას სამოც-და ათის წლის იუბილეის. ამის გამო ირლანდიის დედა-ქალაქის დუბლინის საბჭოში წინადადება იქმნა წარდგენილი იმის შესახებ, რომ დედოფალს ადრესი გაეგზავნოს. ამ წინადადებამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია საბჭოში. ბევრმა ორატორმა წარმოსთქვა ის აზრი, რომ თუმც ინგლისის დედოფალი პირადად დიდის პატივისცემის ღირსია, მაგრამ ჩვენ მაიმც არ შეგვეფერის ეს იუბილეი ვიდღესასწაულოთ, რადგანაც დედოფლის ვიქტორიას მეფობის დროს ინგლისი ამაღლდა, გამდიდრდა და გაძლიერდა, ირლანდია-კი გაღარიბდა და დაეცაო. საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა: არ იდღესასწაულოს დედოფლის ვიქტორიას იუბილეი.

## დამაკვირდი

უნარი ნიჭი არ არის, ხოლო ნიჭი შემოქმედებას შორს ჩამორჩება.

ეთვოსი

* * *

ყველასა აქვს ნება ჰქმნას იგი, რითიც არავის მიაყენებს წყენასა და ვნებას.

შექსპირი

* * *

ცხოვართა მწყემსვა გაცილებით ადვილია, ვიდრე ადამიანთა მართვა.

ვენერი

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ხშირად შეხვდებით ხოლმე ბაასსა და კამათობას შესახებ თამბაქოს წევისა. ზოგი ამბობს, თამბაქო მავნებელია ადამიანისთვისაო, ზოგი-კი უარ-ჰყოფს ამას, არა, არ არის მავნებელიო. საკვირველი უფრო ის გახლავთ, რომ ეს საგანი თითქოს თვით მკურნალებსაც-კი ვერ გადაუწყვეტიათ და ვერ გამოურკვევიათ სრულის სავსებით. ზოგიერთი კიდევ იმით ამტკიცებს, თამბაქო მავნებელი არ არისო, რომ ზოგ-ზოგი კაცი მთელს თავის სიცოცხლეს თამბაქოსა სწევს, ხშირად ძლიერ საძაგელს თამბაქოსაც, მაგრამ არავითარი სენი და ავადმყოფობა არა აქვსო, პირიქით თამბაქო ზოგიერთ კაცს თითქოს ჰრგებსო და სხვ. ამ ჟამად ჩვენ მოვახსენებთ მკითხველთ სულ ახალს გამოკვლევას ინგლისელ ორის მკურნალისას, რომლებსაც საკმაოდ გამოურკვევიათ ეს საკამათო საგანი და ამტკიცებენ, მართალია, თუმცა გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, რომ თამბაქო სწყინდეს დავაჟკაცებულსა და ხანში შესულს ადამიანსაო, მაგრამ ის-კი უტყუარია, რომ ახალგაზდობისათვის თამბაქოს წევა ძლიერ მავნებელი არისო. მაგალითად მკურნალს Say Seakers ორჯერ გაუსინჯავს 187 სტუდენტი და აღმოჩენილა, რომ იმათ, ვინც თამბაქოს არა სწევდა, ტანიც მეტად აუყრიათ, გულ-მკერდიც მეტად ჰქონიათ გაზდილი, ფილტვებით უფრო საღი ჰქონიათ, მათთან შედარებით, ვინც თამბაქოს ეწეოდა. ამასვე ამტკიცებს მეორე მკურნალი Hitschcocka, რომელსაც ორჯერვე გაუსინჯავს მეორე უნივერსიტეტის სტუდენტები.

ამ გარემოებას საჭიროა დიდი ყურადღება მიექციოს. ტანის ზრდაზე, გულმკერდის სიგანეზე და ფილტვების სისაღეზე დამყარებულია ადამიანის ჯანმრთელობა და თუ გნებავთ, ხანგრძლივი სიცოცხლეც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ფილტვის სისუსტე მეტად საშიში არის ახალგაზდა კაცისათვის, რადგანაც უფრო ადვილად შეხვდება ჭლექი, ვიდრე საღის ფილტვების პატრონს. წარმოიდგინეთ ეხლა რა მავნებელი უნდა იყოს 10 წლის ყმაწვილისათვის თამბაქო, მაგრამ არც ისე იშვიათად შეხვდება ხოლმე კაცი 10—12 წლის ყმაწვილს, რომელიც თამბაქოს ეწევა, იმიტომ-კი არა, რომ ამაში სიამოვნებას რასმე ჰხედავდეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსებს წაჰბაძოს. საცა რიგია, ამ ხნის ყმაწვილები ისეთს ადგილებსაც-კი უნდა მოარიდონ, სადაც თამბაქოს ბოლი ტრიალებს, მაგალითად თეატრის ბუფეტებს, რკინის გზის იმ ვაგონებს, რომელშიაც თამბაქოსა სწევენ და სხვა ამ გვარ ადგილებს. („ნ. ზ.“)

* * *

ყველას კარგად მოეხსენება, რომ უსუფთაო, უწმინდური და მღვრიე წყალი მეტად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამაზედ ლაპარაკიც-კი მეტია. ხშირად ზოგიერთი ავადმყოფობა წყლის საშუალებით გადაედება ხოლმე კაცსა, მაგალითად შავი სახადი და ხოლერა. ამ გადამდებ სენის დროს საჭიროა წყალი დაიწმინდოს და ისე იხმაროს კაცმა. საუკეთესო საშუალება წყალის დაწმენდისა და შიგ მავნე ბაქტერიების დახოცვისა მისი ადუღება არის, მაგრამ ჯერ ერთი რომ ამით მღვრიე წყალი არ დაწმინდავდება, მხოლოდ ბაქტერიები იხოცება და გარდა ამისა ადუღებული წყალი ბევრს არ მოსწონს და მართლაც ამ გვარ წყალს გემო ეკარგება. უფრო უკეთესი საშუალება წყალის დაწმენდისა ერთ გვარი მანქანებია, რომელსაც ფილტრს ეძახიან, მაგრამ ასეთ მანქანის შეძენა ყველას არ შეუძლიან. უფრო იეფი და უფრო ადვილი საშუალება წყალის დაწმენდა-დასუფთავებისა—შაბია. შაბი უნდა ჩაჰყაროთ ჩაის სტაქანის ნახევრამდე და გადაავსოთ წყალით. ამ შაბ-გახსნილ წყალისა სულ ერთი ჩაის კოვზი საკმარისია, რომ მთელი სამი თუნგი წყალი დაიწმინდოს. ერთის ბოთლის წყალის დასაწმენდად-კი საკმარისი არის სულ ერთი წვეთი. დამტკიცებულია, რომ შაბი უსათუოდ ძირს დასწევს, დაილექავს ყოველგვარ უსუფთაობას და ბაქტერიებსაც დაჰხოცავს, თუმცა ყველას-კი არა, და რამდენსამე დღეზედ ბაქტერია ისევ მრავლდება. ამიტომ გადამდებ სენის დროს, მაგალითად, ხოლერის დროსა საჭიროა წყალი უსათუოდ ადუღოთ და ისე იხმაროთ. („ნ. ზ.“)

## პატარა შენიშვნა

წუალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. სწორედ ასე მოუვიდა გეურქ-აღას „კვალის“ უკანასკნელს ნომერში. იგი თავს იმართლებს იმ მართლაც და საყურადღებო წერილ-ის წინაშე, რომელიც ეკუთვნის კნ. დარია ფაღავას (იხილე ივერია № 87). მერე როგორ ჰმართლულობს თავს? ვერც ერთი ნათქვამი კნ. ფაღავასი ვერ უარ-ჰყო, ან შესაძლებელი-და იყო მათი უარ-ყოფა! იცოდა-რა ეს გეურქ-აღამ, ამიტომ ჩვეულებრივ პირი მოხსნა გუდას და თავის გამართლების მაგიერად მოჰყვა ჩიფჩიფს იმაზე, რომ კნ. ფაღავას ჯერ „სამურზაყანოში და სამეგრელოში სკოლები არ დაუარსებიაო“, მაშასადამე მოდავეწე არა ხარო... ნეტავ მოღვაწეობის სახელს ადამიანს მარტო სკოლის დაარსება აძლევს! თვით აღამ რამდენი სკოლა დააარსა ამ 35 წლის განმავლობაში? ან რა სიკეთე, რეალური ან ზნეობრივი, შეჰმატა ჩვენს ქვეყანას? რა და როგორ „იღვაწა“?!. ეჰ, სჯობს გავჩუმდეთ, ბ-ნო გეურქ, „ღვაწლის“ ანგარიშს თორემ დასამარხისი გახდების „ვინდაც“... ხოლო კნ. ფაღავას გულშემატკივრობა და ჭირისუფლობა ჩვენებურ საქმეებში მარტო „კვალმა“ თუ არ იცის, თორემ სხვებმა, ვისაც თვალი და ყური გვაქვს, ვიცით და ერთხანად „კვალიც“-კი სხვა აზრისა იყო კნ. ფაღავას შესახებ, მაგრამ მახლას...

ვ. გ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მაისი

**პეტერბურგი.** 14 მაისს დიდის სასახლის ეკკლესიაში, ცარსკოე სელოში პროტოპრესვიტერის იანიშევის მიერ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავრინანი და დიდნი მთავარნი.

**მოსკოვი.** 14 მაისს მოსკოვმა იდღესასწაულა პირველის წლის თავი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევისა. მოსკოვის ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი.

გრუზინსკის ქუჩაზედ სტუდენტებისათვის ასაგებ საერთო საცხოვრებელ სახლის საძირკვლის კურთხევას დაესწრნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული.

**ტულონი.** მათის იმპერატორებითის უმაღლესობის გვირგვინის კურთხევის წლის თავის გამო ნავთსადგურში მდგომ გემებზედ ამართული იყო რუსეთის დროშა. ნავოსანნი დათხოვნილ იქმნენ, როგორც სადღესასწაულო დღეს.

**ბერლინი.** მათის იმპერატორებითის გვირგვინის კურთხევის წლის თავის გამო, რუსეთის საელჩო ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრო დეპუტაცია საგრენადერო იმპერატორის ალექსანდრეს სახელის პოლკი.

**კონსტანტინეპოლი.** ვოლოდგან ელჩებისაგან მოსულ ამბის გამო, რომ ვითომ ოსმალებს უნდოდეთ იქაურ დამოქნაში დაწყობილ საქონლის დასაკუთრება, ელჩებმა მიჰმართეს პორტას და სთხოვეს, ხელს ნუ ახლებთ ამ საქონელსაო.

**პარიჟი.** დიდ სახელმწიფოთა მიერ ოსმალეთისადმი გაგზავნილ მიწერილობაში მოხსენებულია, თანხმანი ვართ თესალიის საზღვრის შეცვლაზე, აგრედვე სამხედრო საზღაურის გარდახდაზე, რაოდენობის გადაუწყვეტელად, ხოლო არა ვართ თანახმანი ადგილების დაპყრობაზედაო, მაგრამ უარს არ ვამბობთ ზოგიერთ იმ კერძო გარდაწყვეტილების განხილვაზედ, რომელმაც ბოროტ-მოქმედება გამოიწვია; რაც შეეხება დამნაშავეთა გაცემას, ამას ნაკლეგადა აქვს მნიშვნელობაო.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს დეპეშითა სწერენ ათინიდგან, რომ კრიტზედ შემდეგი ამბავი მოხდაო: ადმირალებმა წინაამდეგობა გაუწიეს და ხელი შეუშალეს სტენკოსის წასვლას გემით თავისის ჯარითა და განაცხადეს, წასვლის ნებას მხოლოდ მაშინ მოგცემთ, როდესაც ჩაგვაბარებთ იმ ზარბაზნებს, რომელიც აკროტირის მეამბოხეთა ხელშიაო.

**სოფია.** საკასაციო სასამართლომ უარ-ჰყო განაჩენი სტამბულოვის მკვლელობის შესახებ და დასტოვა განაჩენის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გეორგიევს შეეხება.

16 მაისი

**ხერსონი.** 15 მაისს დაიწყო გარჩევა ბუტლი დეკაცმანის საქმისა, რომელმაც მოჰკლა მევახშე დიმანტი.

**ათინა.** მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ მან შეიტანა საეროვნო ბანკში 110,000 გირვანქა სტერლ. 15 ივნისის და 1 ივლისის კუპონების ნაღდად გადასახდელად.

**ლონდონი.** „Times“ დეპეშით აცყობინებენ ათინიდგან, რომ აკროტირის განდგომილთ პოლკოვნიკის სტაიკოსის რჩევით გადასცეს ელჩებს სამი ზარბაზანი, ხოლო დანარჩენი ორი მეამბოხეთა ხელში დარჩა შუაგულ კუნძულზე.

**პარიჟი.** „Figaro“, „Matin“-ი და სხვა გაზეთები, იუწყებიან რა იმ ამბავს, რომ გერმანია მიემხრო ელჩების ნოტას, რომელიც პორტას გაეგზავნა, ამბობენ, ეს მიმხრობა იმის წყალობით მოხდა, რომ რუსეთის მთავრობამ გერმანიას მიჰმართაო. ოფიციალურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ეხლაც, როგორც ომიანობის დროს, რუსეთის მთავრობა ყოველ გვარ ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობა იყოს დამყარებული და საბერძნეთის ბედ-იღბალი შემსუბუქებულო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ქალაქ სოხუმიდგან იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია სოხუმის იაფ-ფასიან სამკითხველოს შესახებ, რომელშიაც კორესპონდენტი სწერს რომ წელიწადზედ მეტია, რაც სოხუმის საზოგადოებამ თ. სახოკიას თაოსნობით იაფ-ფასიანი სამკითხველო დააარსაო. კორესპოდენტი ძლიერ შემცდარა, რომ მარტო სახოკია უცვნია სოხუმის სამკითხველოს დამაარსებლად და სხვა-კი არავინ, როდესაც სახოკიას ტფილისიდგან ჩამოსვლამდე ნება-რთვა აღებული იყო კიდეც და ხელის-მოწერაც გამართული იყო, ხოლო სახოკიამ მარტო დააჩქარა საქმის დაბოლოვება და თვითონაც ტფილისიდგან ჩამოიტანა თავისის მეცადინეობით შეგროვილი სხვა-და-სხვათაგან შემოწირული წიგნები, რისათვისაც, რასაკვირველია, მადლობის ღირსია.

შემდეგ კორესპონდენტი ამბობს, რომ პირველში ამ სამკითხველოს თუმცა საკმაოდ ჰყავდა ხელის-მომწერნი, მაგრამ ბოლოს-კი ნელ-ნელა ჩამოეცალნენ და იქამდის მიაღწია, რომ უეჭველად უნდა დაკეტილიყო, თუ ისევ სახოკია არ მიშველებოდაო. ნეტა კორესპონდენტი მაშინ სად იმყოფებოდა, როდესაც თ. სახოკია ამბობდა, რომ სამკითხველო უეჭველად დროებით უნდა დავკეტოთო და სამკითხველოს გამგეს გამოუცხადა კიდეც, რომ ცხრა ოქტომბრიდგან სამკითხველო დაკეტილად ითვლებაო. ჩვენთაგანს რომ არ ეთქვა, რომ სამკითხველოს ასე ხელად და საზოგადოების დაუკითხავად დაკეტა არ შეიძლებაო, დაიკეტებოდა კიდეც. აი ამ სიმის სურვილისამებრ მეორე დამეს მოიწვიეს სამკითხველოს დამაარსებელნი და სახოკიამ იმათაც გაუმეორა, სამკითხველო დროებით უნდა დაიკეტოსო, რაზედაც იმათ უარი განაცხადეს და სთქვეს, 30 მუდმივი წევრი შევაგროვოთ, თვეში ორ-ორი აბაზი გადავახდევინოთ და დაკეტვით-კი ნურას გზით ნუ დავკეტავთო.

ბ-ნს კორესპონდენტს რამდენიმე წევრი აღუნიშნავს გაზეთში და არა ყველანი. ან უნდა სრულიად აღენიშნა ან სულ არ უნდა დაეწერა. ან ვინა სთხოვდა გამოცხადებას? იმისის მიზეზით დღეს საზოგადოება უკმაყოფილოდ არის, ამბობენ, რომ ჩვენ ფულს ვიხდით და გაზეთში-კი სხვებს აცხადებთ, ჩვენ არაო. სამკითხველოს მუდმივნი წევრნი ძმ. გოგრიჩიძენი, თ. გაბუნია, დ. ჭავჭანიძე, ძმ. მასხარაშვილნი, სტ. თურქია, გ. და ბ. თურქია, ძმ. ერქომაიშვილნი, ბ. გაბუნია, ა. ჩაჩავა, ძმ. ანუა, ძმ. შოშიტაიშვილნი, პ. ჭეიშვილი, ი. ცეცხლაძე, ნ. ჩიქოქიძე, ბ. ხელაია, ი. ლოლუა, ე. საბაშვილი, გ. კვიტაშვილი, ა. ჯუღელი, გ. ზოგრაფოპულო. ი. ბერჭულაძე, გ. გიორგაძე, კ. წეროძე, ა. ?რატიანი, მ. გვაზავა, ძმ. ზახაროვი, ს. ფრანგულიანცი, ა. ქარცივაძე, სოზ. კობახიძე, მ, ანთელავა და საჩ. თურქია.

სამკითხველოს გამგე პ. კალანდარიშვილი


# განცხადებანი

## ქალაქის მამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოთხის წლით 1897—1901 წ. ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევანი კვირას, 18 ამა მაისს, იქნება** ტფილისის საბრანიის საზაფხულო სადგურში, მიხეილის ქუჩაზედ თაიროვის ბაღში.

კრება დაიწყება დილის 8 საათზედ. (3—6.—2)

## ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით. (10—108—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Мая 1897 г. სტამბა ჩ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.